# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.—სამშაბათი, 8 თებერვალი 1900 წ. № 1038.

**გაზეთი ღირს:** წალიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგ.ობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს,—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების ცარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**



## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

**გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში**

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით
10 მანეთი 6 მან. 4 მან.

სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან.

(წელიწადი მეხუთე)

**გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც**

გაზეთის ფასი გაგზავნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით
6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ

სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი.

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც „მოამბე“-ს ერთის წლით გამოიწერს „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

**ჟურნალში** უოველ თვე დაიბეჭდება სხვათა შორის შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.

გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.**

---

1-ლ თებერვლიდან წლის დამლევამდე

## „ცნობის ფურცელი“ ღირს 5 მ. 50 კ.

ფასის განაწილება: პირველად—3 მ. და 1-ლ აპრილამდე 2—მ. 50 კ.

1-ლ თებერვლიდან წლის დამლევამდე

## „ცნობის ფურცელი“ და „მოამბე“ (იანვრის წიგნიანად) ერთად ეღირება 9 მ. 50 კ.

ამ ფულის განაწილება შეიძლება ასე: პირველად—4 მან., 1-ლ აპრილამდე—3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე—2 მ. 50 კ.

---

# ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 10 თებერვალს,**

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

**ვლ. ალექსი-მესხიშვილისა**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

# ედმონდ კინი

დრამა 4 მოქმედებად. თხზ. დიუმასი, თარგ. ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.—დასაწყისი 8 საათზე.**

რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე და ქ. მესხი.**

---

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (60—4)


## ახალი ამბავი

✦ გუშინ, ტფილისის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს დარბაზში მოხდა უკანასკნელი სხდომა **ტფილისის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.** კრებამ მოისმინა კომისიის მიერ შემუშავებული შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ეპატიოს ტფილისის თავად-აზნაურობის ის ჯარიმა, რომელიც გაეწერა მას საეროზო გარდასახადის შეტანის დაგვიანებისა გამო და აგრეთვე მიეცეს თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს ნება მიიღონ მონაწილეობა მამულების დაფასებაში. შუამდგომლობის წარდგენა დაევალა გუბერნიის მარშალს.

✦ ტფილისის საბჭოს გუშინდელ კრებაზე მოხდა არჩევნები **ტფილისის ქალაქის თავის მოადგილისა.** კანდიდატებად დაასახელეს: გამგეობის წევრნი: შესტაკოვი—13 ხმით, თ. არღუთინსკი—9, ხოსროევი—4, თ. ჩერქეზიშვილი—1. ორმა უკანასკნელებმა უარი სთქვეს. კენჭი იყარეს შესტაკოვმა და თ. არღუთინსკიმ. პირველს ამოუვიდა 15 თეთრი და 17 შავი კენჭი; თ. არღუთინსკის—14 თეთრი და 18 შავი. ამ რიგად არჩევნები არ შესდგა.

✦ 2-ს ამ თებერვალს შესდგა **ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობის კრება,** რომელზედაც განხილულ იქმნა რამოდენიმე ადგილობრივი და საერთო საჭირო კითხვები. პირველად მარშალმა თ. კ. დ. ერისთავმა მიაქცია საზოგადოების ყურადღება იმას, რომ თან და თან მატულობს დრო გასული გადასახადების რაოდენობა აზნაურების მამულებზედო. ეს გარემოება, როგორც დაკვირვებით და კერძო განცხადებებიდანაც ვიციო, ძლიერ ავიწროებს უმისოდაც ხელ-მოკლე სოფლელ აზნაურობასო; ახალი წესები, რომლის ძალითაც დაუყოვნებლივ, დაურიდებლად უნდა გაყიდოს მამულებიო, სახელმწიფო გადასახადის ვალში, უფრო გაამწვავებს ამ გაჭირვებულ მდგომარეობასაო. დიდის თათბირის და სჯა-ბაასის შემდეგ აზნაურობამ დაადგინა მიენდოს მაზრის მარშალს გადასცეს ბატონ გუბერნიის აზნაურობის წარმომადგენელს, მთელი ოზურგეთის მაზრის აზნაურობის განსაკუთრებული თხოვნა იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს მამულებზე გადასახადის რიგიანად განაწილებას; ამისათვის კრებამ დაინახა მიუცილებელ საჭიროდ გუბერნიის მარშლის დასწრება ტფილისში ამავე საგნის გამოსარკვევად დანიშნულ აზნაურების კომისიის მუშაობაზე. ზოგიერთმა აზნაურებმა აღნიშნეს უსამართლო, ურიგო შურის მიზეზით გამოწვეული, შეუმივი დაბრკოლება ქუთაისის სააზნაურო ბანკის გამგეობის მიერ მთელი აზნაურობისაგან გუბერნიის მარშლის წარმომადგენლობისათვის დანიშნული ფულის მიცემისა. ოზურგეთის აზნაურობამ სთხოვა გუბერნიის მარშალს ოფიციალური წერილით მოითხოვოს ფული დანიშნული თანხიდან, რათა ერთხელ კიდევ ჰქონდეს ოზურგეთის აზნაურობას საერთო კრებაზე დასამტკიცებელი საბუთი გაუთავებელი უწესო მოქმედებისა ჩვენის სააზნაურო ბანკის მმართველებისა.—შემდეგ აზნაურობამ მოისმინა ის დაბრკოლებანი და მიზეზები, რომელნიც ხელს უშლიან მთელი ოზურგეთის მაზრისათვის აუცილებლად საჭირო საქმეს: საშუალო სასწავლებლის, პროგიმნაზიის, დაარსებას და ერთ ხმად დაადგინა აირჩიოს ამ საქმის ყოველივე საშვალებით გამძღოლი პირები: პეტერბურგში მცხოვრები თავ. ივანე ალექსანდრეს ძე ნაკაშიძე, მაზრის მარშალი და ნიკო თავდგირიძე,

რომლებსაც დაავალა აზნაურობამ, თუ საჭირო დარჩეს, თვით უმაღლესს მმართველს წარუდგინენ, წერილობით გამოსთქვან აზნაურობის დაქვეითება-გაჭირვების მდგომარეობა და ერთ უტყუარ საშვალებად ითხოვონ სწავლა-განათლების მოპოვების გაადვილება. შემდეგ ოზურგეთის აზნაურობას ჰქონდა გამწვავებული მსჯელობა ერთ ფრიად საყურადღებო საგანზე: წარმოდგენილი იყო შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ჩვენებური ახალგაზდობა ნუ გაიგზავნება ჯარში სასამსახუროდ სალდათებათ რუსეთში, რომლის ხუსხიან, სამძიმო ჰავას ვერ გადიტანებენ ჩვენებური ბუნების შეთვისებული ყმაწვილებიო. ოზურგეთის მაზრის მცხოვრებნი მიტომ ბედავენო ამ თხოვნის აღძვრას, რომ განსაკუთრებული მადლობის ქაღალდი აქვს ხელმწიფე იმპერატორისაგან მთელი გურიის ხალხს თავგანწირულ მხნეობა-მამაცობისათვის იმ ომებში, რომლებიც რუსეთის მმართველობას ჰქონიათ თავიანთ მტრებთან. ამ წარსული დამსახურებისათვის ხალხი თხოულობდა შეებრალებინათ მათი შვილები და აეცილებინათ მათთვის მოსალოდნელი უექველი ზიანი.

ხანგრძლივის კამათის შემდეგ ამ საქმის გამო შუამდგომლობის აღძვრა უდროვოდ და უადგილოდ იცვნეს.

◆ „ქუთაისის საგუბერნიო უწყებაში“ დაბეჭდილია შემდეგი **ცირკულიარი ქუთაისის გუბერნატორის** გენ.-მაიორის გერშელმანისა: „მიუხედავად იმისა, რომ ახლად შემოღებული ქუთაისის გუბერნიაში სასოფლო-საპოლიციო სადარაჯო სულ ცოტა დრო არსებობს, სადარაჯოს ჯარისკაცთა და მცხოვრებთ შორის უკვე მოხდა რამდენიმე შეტაკება, რომელიც გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ხშირად მცხოვრებნი წინააღმდეგობას უწევენ დარაჯთ და შეურაცყოფას აყენებენ მათ თანამდებობის აღსრულების დროს. ამგვარი უსიამოვნო მოვლენა მიეწერება უმთავრესად იმ გარემოებას, რომ მცხოვრებთ არა აქვთ შეგნებული დანიშნულება ახალის დაწესებულებისა და აგრეთვე იმას, რომ მათ არ იციან რა პასუხის გება მოელით პოლიციის შეურაცყოფისათვის. ამიტომ წინადადებას ვაძლევ მაზრისა და ოლქის უფროსებს: 1) აუხსნან მცხოვრებთ, რომ ახლად შემოღებულ სადარაჯოს მოვალეობა მარტო ავაზაკების დევნა კი არ არის, არამედ საზოგადო წეს-რიგის დაცვა იმ ადგილებში, სადაც დაწესებულია ხსენებული სადარაჯო. 2) აუხსნან მცხოვრებთ, რომ სადარაჯოში მსახურთა შეურაცმყოფნი, როდესაც ხსენებულნი მსახურნი თავის სამსახურს ასრულებენ, დასჯილ იქმნებიან სასჯელთა დებულების მე-270—273, მე-285 და მე-286 მუხლების თანახმად.

◆ 15 თებერვალს, დილის 10 საათზე, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს დარბაზში დანიშნულია **ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა კრება.**

◆ 6 თებერვალს განჯაში „ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართულ **ქართულ სადამოს** ქალაქის სათეატრო დარბაზში დიდძალი ხალხი მიუზიდავს. ამ ქალაქში, როგორც მკითხველებმა უწყიან, აგერ ექვსი წელიწადია, რაც ამგვარი საღამოები იმართება, მაგრამ ამოდენა საზოგადოება, როგორც წრევანდელ საღამოს მიუზიდავს, განჯელებს არ ახსოვთ. ბ-ნ ზ. პ. ფალიაშვილის ხოროს, რომელიც მოწვეული იყო ამ საღამოზე, დიდის ხელოვნებით შეუსრულებია როგორც ქართული, აგრეთვე რუსული სიმღერები. საზოგადოებას იმდენად მოსწონებია ჩვენი ახალგაზდა და ნიჭიერი ლოტბარის მიერ შედგენილი ხორო, რომ თვითეული სიმღერა ორჯელ-სამჯერ გაუმეორებინებიათ. დაწვრილებითი ცნობებს ამ საღამოს შესახებ შემდეგ ვაუწყებთ მკითხველებს.

◆ ტფილისში ახლად დანიშნული **გერმანიის ელჩი ბ-ნი ობერგი**, როგორც ჩვენ სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, შესდგომია ქართული ენის შესწავლას და ამ მიზნის განსახორციელებლად ყველა საჭირო წიგნებიც შეუძენია. ბ ნს ობერგს, როგორც გავიგეთ, განზრახვა აქვს თურმე ქართული ენის გრამმატიკას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება. ბ-ნი ობერგი ფილოლოგი ყოფილა და გერმანულ ენას ბევრი გამოკვლევებიც ჰქონია ფილოლოგიური ხასიათისა.

◆ ტფილისში განუზრახავთ დაარსება ტფილისის საეკკლესიო-სამრევლო სკოლების **ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელი საზოგადოებისა.** ამ ჟამად ტფილისში ოც და ათი ამგვარი სასწავლებელია, ასე რომ განზრახულის საზოგადოების დაარსება ძალიან საჭირო არის.

◆ „ტფ. ფურცელს“ ატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ სათანადო მმართველობას წარედგინა რამდენიმე შუამდგომლობა, რომლებითაც სხვა-და-სხვა მწარმოებელნი სთხოვენ მთავრობას, ნება მოგვეცით ამიერ კავკასიის სახაზინო მიწებში ზოგიერთ ადგილას აღმოჩენილ **სადიატოგრაფიო ქვის** მოტეხისაო.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზათა გამგეობას გარდაუწყვეტია მსახურთა ჯანმრთელობისათვის გააშენოს ყველა სადგურებზე **აბანოები.** მუშაობას წელსვე შეუდგებიან.

◆ ქუთაისის საგუბერნიო მმართველობას დაუდგენია გამოერიცხოს რაჭის მაზრის, ამბროლაურის სასოფლო საზოგადოების სოფლებთა რიცხვიდან სოფლები: ველევი, ბეთლევი, შხიანი, კვირიკე წმინდა და ზემოკრიკი და შეადგინოს მათგან ცალკე **ახალი სასოფლო საზოგადოება**, სახელწოდებით—ველევის სასოფლო საზოგადოება.

◆ სამთო უწყებას განუზრახავს ითხოვოს კრედიტი ბაქოს მიდამოებში არსებულ **ტბების** გასაშრობათ. როგორც ფიქრობენ, გასაშრობ ადგილებში ნავთი უნდა აღმოჩნდეს.

◆ 3 თებერვალს ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებაში გაარჩია საქმე ბასილაშვილისა და გელაშვილისა, რომელთაც ჰბრალდებათ **კაცის მოკვლა.** სოფელ საგანლიანთ ხევის მცხოვრებნი ალექსი ბასილაშვილი 20 წლისა და თედო გელაშვილი 24 წლისა შარშან სამ ივნისს ხსენებულ სოფელში მთაწმინდობას თავს დაესხნენ სოფ. პატარა-ხარაგაულის (შორაპნის მაზრა) მცხოვრებს ზურაბ გელესიანს და ხანჯლით დასჭრეს იგი გვერდში. გელესიანი მიწაზე დაეცა. ალექსი ბასილაშვილი იჭერდა და გელაშვილმა რამდენიმე ჭრილობა მისცა წაქცეულს. სასამართლომ დამნაშავედ იცნო გელაშვილი და გარდაუწყვიტა 3 წლით დაპატიმრება. ალექსი ბასილაშვილი გამართლებულ იქმნა.

◆ ჩვენ მოგვივიდა პირველი ნომერი საყმაწვილო ჟურნალის **«ჯეჯილისა»** შემდეგის შინაარსით: 1). «გიორგი წერეთელი—ი. ა-სი» 2). «საახალწლო სურათი»—ლექსი დ. თომაშვილისა. 3). «პატარა იესო» (ფრანგულიდან)—ა. წ—სა. 4). «მეზალე (იგავი) ალ. მ—შვილისა. 5). «პატარა მეკაზეთე» (საახალწლო მოთხრობა) ნიკო ხუციშვილისა. 6). «ბუზი» (რუსულიდან) ი. ა.-სი- 7). «ცელქი სანდრო»—ლექსი განდეგილისა. 8). «საკვირველებანი ბუნებისა) № 4) კენგურუ ანუ ბუმერი» ლადო აღნიაშვილისა, 9). «თავდადებული ქართველი ქალი» (საქართველოს წარსულიდან)—იაკობ. გოგებაშვილისა. 10). «ჭაერში ფრენა» (ჭაერონავტიკა)—ილიკოსი. 11). «სიყვარულს რა არ შეუძლიან» (საახალწლო მოთხრობა) ეგ. გაბაშვილისა. 12). «ბედნიერი დღე» (საახალწლო მოთხრობა რუსულიდან)—სონა ციციშვილისა. 13). წვრილმანი: აკროსტიხები, ანდაზები, ზმა, სიტყვების ამოცანა, შარადა და რებუსი».

—

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელს ნომერში შემდეგი უმთავრესი კორრექტურული შეცდომები შევნიშნეთ: 1) დაბეჭდილია ახალ ამბებში: ...**ტფილისის** ქვანახშირის საზოგადოება, უნდა იყოს: **ტყვიბულის** ქვა-ნახშირის საზოგადოება. 2) კაპშტადტიდან დეპეშაში დაბეჭდილია: დარჩენილთა რიცხვი **სამოც და ათი ათასია**, უნდა იყოს **7—10** ათასია.

---

# თეატრი

**ქართული წარმოდგენა.** უნდა მართალი სთქვას კაცმა, დიდი შეცდომა არის ქართულ სცენაზედ შექსპირის ტრაგედიების წარმოდგენა. შექსპირის თხზულებები იმდენჯერა აქვს ნახული და წაკითხული საზოგადოებას, რომ თუ არ განსაკუთრებით მშვენიერი წარმოდგენა, მარტო პიესა თავის-თავად საკმაო სიამოვნებას ვერ აღუძრავს. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს არტისტთა ძალას, უნდა აღვიაროთ, შექსპირის წარმოდგენა უსიამოვნების მეტს არას მიანიჭებს კაცს. შექსპირის ტრაგედიების ასე ალა-ალად წარმოდგენა როდი შეიძლება. მისი თხზულებები სკოლაში გავლილი და გაზეპირებული უნდა ჰქონდეს ყოველს არტისტს და მერე გაბედოს ამ პიესების წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება. შექსპირის ტრაგედიებში, ერთის სიტყვით, დავიწყება ან გადამახინჯება სწორედ დანაშაულებაა, მით უმეტეს, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა თითქმის ზეპირად იცის საუკეთესო თხზულებები ამ ადამიანთა გულთა-მხილავის მწერლისა.

ბ. მათიკაშვილისგანაც „ოტელოს“ თავის ბენეფისად ამორჩევა დიდ შეცდომად მიგვაჩნია. ეს ტრაგედია შექსპირისა ერთი უძნელესთაგანი არის წარმოსადგენად, სწორედ იმ როლის მიზეზით, რომლის აღსრულებაც მობენეფისემ იკისრა. იაგოს როლს მეტად დახელოვნებული და შეგნებული თამაშობა უნდა. ადამიანის სიბოროტისა და ვერაგობის განხორციელებაა და თანაც ისეთი გაქნილი და მოხერხებული, რომ ვარდს გიფენს და ეკლებზედ კი გატარებს და გულსა და სულს შხამით გიწამლავს. იაგოს მოთამაშე არტისტს ერთისა და ორი დღის შრომა კი არა, მთელის წლების მეცადინეობა უნდა, ცოტათი არის მაინც მიაღწიოს ამ საოცარის ტიპის განხორ-

ციელებას. გარდა ამისა ყოველმა არტისტმა უნდა იცოდეს თავისი ჟანრი, იმ გვარ ტიპთა, რომლის გამოსახვა შეუძლია. ბ. შათირიშვილი დიდ გონიერი და მეცადინე არტისტია, მაგრამ მაინც ვერ ძალუძს «იაგოს» წარმოდგენა, სხვა არა იყოს-რა, იმიტომ, რომ მისი ჟანრი არ არის. ბ. შათირიშვილს უფრო კომიკურის ხასიათის როლები უდგია-ლება და საზოგადოდ jeun premier-ს თამაშობს ხოლმე და ეხლა ასეთი საზარელისა და საშიშარის ბოროტებით აღვსილის ტიპის განხორციელება ითავა, მაგრამ, რასაკვირველია, ცდამ ტყუილად ჩაუარა. ბ. შათირიშვილმა გუშინდელს წარმოდგენაში შექსპირის ტრაგედიის «იაგო» კი არა, ჩვენებური გაიძვერა და გაქნილი ბიჭი წარმოგვიდგინა.

ბ. მესხიშვილის ხმის სისუსტე არასოდეს არ გაგვხსენებია და არ გვიგრძვნია ისე, როგორც ამ წარმოდგენაში. სრულიად ველარ ასერხებდა სხვა-და-სხვა ინტონაციის გამონახვას და რაღაც აკადემიურ-ფურ ზმუკუნი გვესმოდა. ჩვენ პირველად ვხედავთ, რომ ბ. მესხიშვილს ასეთი უსიამოვნო შთაბეჭდილება გამოეწვიოს მაყურებლებში.

სხვაზედ რაღა მოგახსენოთ, თუ არ ის, რომ არც ერთმა როლი არ იცოდა და იქ, სადაც საჭიროა მოქმედება სისწრაფით მიმდინარეობდეს, სუფლიორის ყურის გდებას უნდებოდნენ არტისტები.

ბ. გედევანიშვილმა როლის უცოდინარობაში პირველობა დაიჩემა. წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო და მობენეფისე მრავალის საჩუქრით დააჯილდოვეს.

არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ აქ უწესოება, რომელიც არ გვინახავს არსად და თვით ჩვენს სცენაზედაც. უკანასკნელ მოქმედებაში, ჯერ ფარდა არ იყო ჩამოშვებული, დეზდემონის საწოლთან გამოჩნდა უცრად პალტოში გამოხვეული ფიგურა ქუდით თავზე! ამაზე უარესი ამბავი წარსულ წარმოდგენაზე («ავაზაკები») იყო: სცენაზე რამდენიმე არტისტია. უეცრად სცენაზე შემოდის ვიღაც გრძელ პალტოიანი და ერთ არტისტთაგანს უშხის... ასეთს უწესოებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს რიგიანს სცენაზე!...

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

7 თებერვალი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული დიდი მთავრინა ოლღა ალექსანდრეს ასულით 6 თებერვალს საცხოვრებლად გადვიდა გატჩინოს.

**პორტ-ელისაბედ.** ინგლისის სამხედრო ნავმა შეიპყრო გემი „სავიო“, რომელიც ნიუ-იორკიდამ მოდიოდა დელაგოასაკენ; ეჭვი ჰქონდათ, რომ გემზედ სამხედრო კონტრაბანდა არის.

**ბანაკი მდ. ბერდზე.** გენ. ბრაბანტს დღეს ძლიერი ბრძოლა ჰქონდა ბურებთან დორდრეხტის ოლქში; მან განდევნა მტერი პენგუკსა და დორდრეხტს შუა მდებარე ადგილებიდან. ინგლისელებმა დაჰკარგეს 16 კაცი, მათ შორის 8 მოკლულია, მოკლულებში 2 აფიცერია.

**ჩიველე** დენდონალდის ცხენოსანმა ჯარმა არტილერიის დახმარებით აიღო ჰუსარენბურგი; ამავე დროს ტორნიკროფტის ცხენოსანმა ჯარმა შეაჩერა ბურები, რომელთაც იმავე ქალაქის დაპყრობა ჰსურდათ. ლიტტლტონის ბრიგადამ მოუარა ბურების ჯარის მარჯვენა მხარეს, ხოლო უორენმა იერიში მიიტანა მარცხენა მხარეზე. ბურები ძალიან გამაგრებულები არიან. ბრიტანელთა ზარბაზნებმა არ მიუშვეს ბურების მაშველი ჯარები. ბრიტანიის ქვეითი ჯარები გამაგრდა ჰუსარენბურგში, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. მტერს ბრძოლის დროს მხოლოდ ერთი ზარბაზანი ჰქონდა, რომელიც მდ. ტუგელის იქეთ გადიტანეს.

**ლონდონი.** რობერტსის ჯარებში მყოფი „რეიტერის სააგენტო“-ს კორესპონდენტი აგვიწერს იაკობსდალის დაჭერის სურათს. ის ამბობს, სხვათა შორის, რომ იქ სრული წესიერება არის. ქუჩებში სამხედრო დარაჯები დადიან. ქალაქის მცხოვრებელნი განცვიფრებულნი არიან ამით, რადგანაც მათ გაეგონათ, რომ ინგლისელები მუსრს ავლებენ აღებულ ქალაქებს. ეხლა ისინი მეგობრულად უხვდებიან ინლისელებს. მათ ნალაპარაკევიდინ სჩანს, რომ ორანჟეს ბურებს ომი მოჰბეზრდათ.

გენ. კელლე-კენნიმ კრონიეს ჯარის სურსათის ფურგონები და გერმანელების სანიტარული დასი შეიპყრო.

**სტამბოლი.** სერბიამ სთხოვა პორტას სტამბოლში სერბიის ელჩის დანიშვნის ნება-რთვა.

**ლონდონი.** ოსმალეთის სამხედრო აგენტს ვაშინგტონში დაევალა თვალ-ყური ადევნოს სამხრეთ აფრიკის ომს ინგლისის მხრით.

**ლონდონი.** „ლოიდტს ვიკლი ნიუსპეპერ“-ში დაბეჭდილია დეპეშა მდ. ბერტზე მდებარე ბანაკიდან, რომ 4 თებერვალს დორტრეხტთან ბრიტანელი ცხენოსანი ჯარი შეეჯახა ბურებს. ბრძოლამ გასტანა რვა საათს.

**ბერლინი.** ლონდონიდან გაზ. „მაგდებურგერ ცაიტუნგ“-ს მოსვლია დეპეშა, რომლითაც იუწყებიან, რომ ბურების გენერალმა დელარეიმ, რომელიც ფრენჩის ჯარების ზურგს უკან მოქმედებდა, ინგლისელებს გზა მოუჭრა თავისიანებისაგან და წაართვა მას ყველა ფურგონები სურსათით. დელარეი დგას სამხრეთ აღმოსავლეთით იაკობსდალიდან, ასე რომ რობერტსის ჯარი ზურგიდან მისგან დაცემას უნდა მოელოდეს. პრინსლო იცავს ბლიუმ-ფონტენს. კრონიე სცდილობს მიიტყუოს რობერტსი იმ გამაგრებულ გორაკებისაკენ. რომელნიც ჩრდილოეთისკენ მიიმართებიან.

**ლონდონი.** იაკობსდალთან მომხდარ ბრძოლის შესახებ რეიტერის სააგენტომ“ მიიღო პრეტორიიდან დეპეშა, საიდანაც სჩანს, რომ 2000 ინგლისელები შევიდნენ კიმბერლეიში იმ დროს, როდესაც ბურების ერთი ნაწილი ამ ქალაქის კედლებთან იბრძოდა. ამბობენ, რომ ბურებმა ინგლისელების უკანა რაზმი მოსწყვიტეს დანარჩენებს და ბევრი ტყვე წაიყვანეს. ინგლისელების ფურგუნები ხელში ჩაიგდეს ბურებმა ეიტერვალდთან, მაგრამ ამავე დროს კელლი-კენნიმ წაართვა კრონიეს 78 ფურგონი.

**დურბანი**. აქ ხმა დადის, რომ დღეს ბულლერის ჯარის მარჯვენა მხარეს მოუხდა დიდი ბრძოლა ბურებთან: ომი რითი გათავდა არ იციან.

**იაკობსდალი.** კილლი-კენნი ისევ კვალში უდგას კრონიეს და კიდეც წაართვა მას ას ფურგონზე მეტი. მას შემდეგ, რაც მას მოეშველა ჰაიდლენდერების ბრიგადა, გვარდიის ბრიგადა დაბანაკდა ბურების ძველ პოზიციაზე მაგერსფონტენთან. ფრენჩი გამოვიდა კიმბერლეიდამ და ისიც კრონიეს გამოუდგა.

**არუნდელი.** მზვერავმა რაზმმა აღმოაჩინა, რომ დიდ ძალი ბურები კუფონტენის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მაღლობებზე გამაგრებულა. ბურები ვაალ-კოპზედაც დგანან.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**საკალენდრო ცნობები.**

**სამშაბათი,** 8 თებერვალი; ახალი სტილით 20 თებერვალი. წლის დასრულებამდე დარჩა 327 დღე. მთავრის მე-23 დღე. ხსენება წმ. დიდისა მოწამისა თეოდორე სტრატილატისა და წმ. წინასწარმეტყველისა ზაქარიასი.

**ოთხშაბათი,** 9 თებერვალი; ახალი სტილით 21 თებერვალი. წლის დასრულებამდე დარჩა 326 დღე. მთვარის მე-24 დღე. ხსენება წმ. ნიკიფორესი, მაზაკვილისა, პანკრატისა და გენნადისა.

შემდეგი უქმე—18 თებერვალი,—ყველიერი.

---

## გამოსადეგი ცნობანი

### ნ ი ხ რ ი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —11 კ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 კ. |
| » ცხვრისა . | » | » | —11 კ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » | —10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 | გ. 5 | კ. |
| » » | II | » | » | » 3½ | » |
| » » | III | » | » | » 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | « 5 | » |
| » » | II | » | » | » 4 | » |
| » » | III | » | » | » 3½ | » |
| ლავაში ჯკ. მამ. | I | » | » | » 6 | » |
| » » | II | » | » | » 4 | « |

---

### ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მეიდნებზე: | | | | გოგზალზე | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი | საყ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 | 45 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 10 | 1 | 5 |
| ქერი . . . . . | 1 | — | 75 | — | 86 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 55 | — | — |
| კარტოფილი . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 42 | — | — |
| ბზე . . . . . | 1 | — | 20 | — | — |

შუშა რცხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 36 მ., შუშა ნარევი 32 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 7.-დამ 7 მ. 25 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი — მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი — მ.

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხორბალი. | ხორბალი. |
|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | № 7—6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსისკში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსისკში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფხვნილი“ „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანეური, თითო ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-როსთომოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კასპიის ქუჩა, სახლი ტერტერიოვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხაროვნისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელიზაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარასიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—მიმოვება კოჯრის ქუჩაზე, ზარინგის ტოზენკაუზენის და ეჟუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სათვალიათო ავადმყოფი ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი ბულულაშვილი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეჯლისის ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდოვსკისა.

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

**საზღვრო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. სად.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე—დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე—9 ს. 49 წ. საღ.

**ფოთიდან** სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მოდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 ს. 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

**ტყიბულიდგან** ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ., ქუთაისში მოდის 6 ს. 30 წ. დღისით.

**ომნიბუსების** მიმოსვლა თბილისისა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

თბილისიდან ხუთსაჯდომიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მლეთში ღამის თევით) და ვლადკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკასში ჩადის მეორე დღეს საღამოს 5 ს. 35 წ.

**ვლადიკავკასიდგან:** ხუთ საჯდომიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მლეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 ს. 30 წ.


# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ მის თანადასწრებით, 9 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯაროვაჭრობა რომლითაც უნდა გაიცეს იჯარით მუშაობა უწმინდურების მილის გასაკეთებლად. მილი უნდა გაკეთდეს ა[illegible]არსებულიდან ბულვარის ქუჩაზე ანდრეევის ქუჩამდე, სიგრძით 32 საჟენი, ღირებული 760 მანეთად.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის აღმაშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 2-მდე. ნ. 3—3.

ახალი სახალხო და საყმაწვილო წიგნი

**საარაკო თავგადასავალი**

**ტახტის მემკვიდრისა**

ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. წიგნაკში მოთხრობილია თამარ-მეფის შვილიშვილის მემკვიდრე დავითის საოცარი ბედი და ჟუჟლობა, ფასი ორი შაური. ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. დღესვე ვგზავნებათ დასავლეთის საქართველოს მთავარ მაღაზიებსაც, რომელთაც დაიკვეთეს ეს წიგნაკი.. 3—3

გამოვიდა და ისყიდება წიგნის მაღაზიებში

**ლაზარილიო**

ესპანიური მოთხრობა, თარგმანი ვ. უმიკაშვილისა,

**ფასი ორი შაური.** 3—3

**თეორია და პრაქტიკა**

ფრანგულის ენისა

გეიდენის ქ., № 6, ქვემო სართული

სადილის შემდეგ 5—6 საათზედ.

იქვე დაქვეითებულ მოსწავლეთა გამეჯითება.

გამოც. ვ. ბუნიას


Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Февраля, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.